

პოლიტიკის ნარკვევი

ნოემბერი, 2018

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის “ხარისხი & უფლებების” ინიციატივა საქართველოში ფსიქიკური ჯანდაცვის გაუმჯობესების მიზნით

საქართველოში ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროს რეფორმა ხორციელდება. რეფორმის წარმატებულად დანერგვისა და ფსიქიკური პრობლემების მართვის სფეროში არსებული ხარვეზების გაუმჯობესების მიზნით ამ სფეროს პოლიტიკა კვლევაზე დაფუძნებულ სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს, შედეგად კი უნდა შემუშავდეს ეფექტური და უწყვეტი მოვლისათვის აუცილებელი სერვისები. ქართული რეფორმა, საკუთარი საუკეთესო გაკვეთილების გარდა, საერთაშორისო მონაცემებს, მექანიზმებსა და გამოცდილებას უნდა დაეყრდნოს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული რეგიონის ფარგლებში უსაფრთხო, ეფექტიანი და მაღალი ხარისხის ზრუნვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკისა და პროგრამების პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც 2020 წლის ჯანმრთელობის სტრატეგიასⁱ და ჯანმოს 2013-2020 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სამოქმედო გეგმაშიⁱⁱ ასახული.

„ხარისხი & უფლებების“ პროგრამა (QualityRights Program) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალური ინიციატივაა, რომლის მიზანს ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურების სფეროში ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესება და ფსიქოსოციალური, ინტელექტუალური და კოგნიტური ნიშნით შეზღუდულის შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების დაცვა წარმოადგენს. ის ფსიქიკური ჯანმრთელობის ახალ, ადამიანის უფლებებსა და პიროვნულ აღდგენაზე (recovery) ორიენტირებულ მიდგომას გულისხმობს (WHO, 2018a).

რა მიზნებს ისახავს “ხარისხი & უფლებების” გლობალური ინიციატივა?

“ხარისხი & უფლებების” პროგრამის მიზნებია:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის და მომიჯნავე მიმართულებებით მომსახურების სფეროში ზრუნვისა და ადამიანის უფლებების ხარისხის გაუმჯობესება
- ადამიანის უფლებების ხელშეწყობი სათემო და პიროვნულ აღდგენაზე ორიენტირებული სერვისების შექმნის ხელშეწყობა
- თემში ადამიანის უფლებების, პიროვნული აღდგენისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა
- ფსიქიკური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა მოძრაობის ხელშეწყობა ურთიერთმხარდაჭერის, ადვოკატირებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად
- ეროვნული პოლიტიკისა და კანონმდებლობის რეფორმის სტიმულირება გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციისა და სხვა რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის „ხარისხი & უფლებების“ ინიციატივა მიზნად ისახავს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სოციალური ზრუნვის სტაციონარულ და ამბულატორიულ დაწესებულებებში მომსახურების ხარისხისა და ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისევე, როგორც

ორგანიზაციების გაძლიერებას ფსიქიკური და ფსიქოსოციალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების აღვითქვამის კუთხით.

მსოფლიოში ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებული ზრუნვა არა მხოლოდ დაბალი ხარისხის არის, არამედ, ხშირად პიროვნული აღდგენის ხელშეშლელიც. ზრუნვის დაბალი ხარისხი და უფლებრივი დარღვევები მხოლოდ სტაციონარული და საცხოვრებელი/რეზიდენტული დაწესებულებებით არ შემოიფარგლება, არამედ ჰოსპიტალ-გარე და სათემო სერვისებშიც შეინიშნება. ამასთან, არსებული სერვისი ზოგჯერ ნაკლებად მისაწვდომია და არ არის ბენეფიციარების საჭიროებებზე მორგებული.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევა „ხარისხი & უფლებების“ ინსტრუმენტის გამოყენებით

„ხარისხი & უფლებების“ კვლევაში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები მიზნად ისახავდნენ ევროპაში არსებულ გრძელვადიან ინსტიტუციურ დაწესებულებათა მახასიათებლების შესახებ მონაცემთა შეგროვებას და არსებული ზრუნვის სტანდარტების ნაკლოვანების აღმოჩენას „ხარისხი & უფლებების“ მონიტორინგის ინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა *გაეროს შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას* (WHO, 2018 b).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროექტი ევროპის რეგიონის დაწესებულებებში მცხოვრებ ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ პაციენტებს მოიცავდა. შეისწავლეს ამ მარგინალიზებულ, დაუცველ ჯგუფზე ზრუნვის პროცესები. ინიციატივის მიზანს დეინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა წარმოადგენდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გადაიდგა პირველი ნაბიჯები ევროპის რეგიონში გრძელვადიანი ზრუნვის მასშტაბისა და ხარისხის უკეთ გასაზრებლად.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის „ხარისხი & უფლებები“ არის 5 ურთიერთდაკავშირებული თემის ფარგლებში 25 სტანდარტის გათვალისწინებით მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებული ძირითადი ინსტრუმენტი:

- თემა 1. ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უფლება (გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 28)
- თემა 2. ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლება (გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხ. 25)
- თემა 3. ქმედუნარიანობის განხორციელებისა და პირადი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 12 და 14)
- თემა 4. წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელისგან, და ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისგან თავისუფლება (გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 15 და 16)
- თემა 5. დამოუკიდებლად ცხოვრებისა და სამოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უფლება (გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხ. 19).

2017 წელს „ხარისხი & უფლებების“ ინსტრუმენტით ჯანმოს 24 წევრ სახელმწიფოსა და კოსოვოში (გაეროს უშიშროების საბჭოს 1244 (1999) რეზოლუციის შესაბამისად) 75 დაწესებულება შეფასდა. საქართველო ამ ქვეყნებს შორის იყო.

საკვლევი დაწესებულებები მთავრობის მიერ დასახელებული ეროვნული შეფასების გუნდების მიერ შეირჩა. საერთო ჯამში, მოცემული დაწესებულებები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ზომის, პერსონალის შემადგენლობის, სექტორული ანგარიშვალდებულების, საკუთრების ტიპის, საცხოვრებელი პირობებისა და მომსახურების კულტურის თვალსაზრისით. ეროვნულ პარტნიორებთან შეთანხმებით, მათი ვინაობა კონფიდენციალურია.

ძირითადი დასკვნები

კვლევამ გამოავლინა და დაადასტურა, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების გრძელვადიანი ინსტიტუციური ზრუნვა სტანდარტებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. შეფასებული დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ადამიანთა ფუნდამენტურ უფლებებს არღვევდა, მათ

შორის ქმედუნარიანობას, ავტონომიას, ღირსებას, ადამიანის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობას და თავისუფლებას წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან, ექსპლუატაციისა და ძალადობისაგან.

ყველაზე მნიშვნელოვან დარღვევებს შორის იყო: მექანიკური და ფარმაცოლოგიური შეზღუდვების გამოყენება რთული ქცევის სამართავად, სექსუალური ძალადობის დაუსჯელობის კულტურა, მრავლობითი დარღვევა ინფორმირებული თანხმობის, დისკრიმინაციისა და ზოგადი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით, ალტერნატიული ან დამატებითი ფსიქიატრიული მკურნალობის არარსებობა და ზოგადად, დაწესებულებების შიგნით ან გარეთ მნიშვნელობის მქონე ყოველდღიური საქმიანობის ნაკლებობა.

სტანდარტები „სრულად მიღწეულად“ შეფასდა ერთ მესამედზე (28%) ნაკლებ შემთხვევაში. ეს ევროპის რეგიონში ზრუნვის გაუმჯობესების საჭიროების უზარმაზარ მასშტაბზე მიუთითებს. შესაბამისად, გაეროს კონვენციის ხელმომწერები ამ ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევის რისკის წინაშე დგანან, ან მის დარღვევაში მიუძღვით ბრალი.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ შეფასებულ დაწესებულებებში მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია რამდენიმე გზით, როგორცაა განყოფილებაში საწოლების რაოდენობის შემცირება და ინდივიდუალური აღდგენის გეგმის დანერგვა, ხოლო ზრუნვის სხვა სტანდარტები სისტემურ ცვლილებებს მოითხოვს. ასეთია კანონმდებლობით გამყარებული მხარდაჭერის გადაწყვეტილების მიღება, რომლის მაგალითია წინასწარი განკარგულებები.

მიუხედავად იმისა, რომ მონაწილე ქვეყნებში „ხარისხი & უფლებების“ სტანდარტების მნიშვნელოვანი ვარიაცია აღინიშნა, გარკვეული საერთო ხარვეზები გადაუდებელ ყურადღებასა და მოქმედებას მოითხოვს. ასეთია:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის და ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის ნაკლებობა: კონკრეტულად კი "ბრმა ლაქა", რომელიც ეხება იმ სამართლებრივ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფსიქოსოციალური ნიშნით შშმ პირთა უფლებას განახორციელონ თავიანთი კანონიერი უფლებები და შესაძლებლობები (მაგ., საჩივრების პროცედურების მეშვეობით)

- ინდივიდუალური ზრუნვის ნაკლებობა: მაგალითად, ფაქტობრივად არ არსებობდა ქმედითი აღდგენის გეგმები რომლებიც ხელს შეუწყობდა ინდივიდის საზოგადოებაში ინტეგრაციას
- რეაბილიტაციის ან თუნდაც რეკრეაციული ღონისძიებების ნაკლებობა: ეს გარემოება უმეტეს საკვლევ დაწესებულებაში აღინიშნა. პაციენტები ხშირად ვერაფრით კავდებოდნენ და დასაქმების ხელშემწყობი სწავლისა და პროფესიული მომზადების უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება არ ჰქონდათ
- იურიდიული მხარდაჭერის ან იურიდიული წარმომადგენლობის არარსებობა: აღინიშნებოდა არამხოლოდ იურიდიული კონსულტაციის ნაკლებობა, არამედ გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის არარსებობა
- თემში ჩართულობის ალტერნატივების არარსებობა: აღინიშნებოდა ისეთი ალტერნატივების ნაკლებობა, როგორიცაა დამოუკიდებელი საცხოვრისები, რაც ახანგრძლივებდა დაწესებულებაში ყოფნას და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების განხორციელებას აბრკოლებდა. ანგარიშმა მარტივი გზავნილი ასახა: პაციენტების უმრავლესობას სურს დატოვოს დაწესებულება, მაგრამ წასასვლელი არსად აქვთ.

შემდგომი ნაბიჯები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა დეინსტიტუციონალიზაციისკენ წინსვლის შენარჩუნებისა და შშმ პირთა უფლებების დაცვისათვის აუცილებელი შემდგომი ნაბიჯები და პრიორიტეტები, რაც ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ყველა მიმწოდებელმა უნდა შეასრულოს:

- პოლიტიკისა და კანონმდებლობის გადასინჯვა გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად
- პერსონალის ტრენინგი ადამიანის უფლებების კუთხით, ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებისა და სხვა სპეციალური მოდულების კონტექსტში, როგორცაა: ინდივიდუალური აღდგენის დაგეგმვა, რთული სიტუაციების თავიდან აცილებისა და დევსკალაციის სტრატეგიები და იძულებითი

პრაქტიკის, მათ შორის იზოლაციისა და შებოჭვის საბოლოო შეწყვეტა; მხარდამჭერი გადაწყვეტილებების მიღება და წინასწარ დაგეგმვა

- პროგრესის დამოუკიდებელი მონიტორინგი - მომსახურების გასაუმჯობესებლად და მხარდასაჭერად; და
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ერთობლივი ინიციატივების, დაძმობილებული პროექტების, კონფერენციებისა და პოლიტიკის უწყვეტი დიალოგის მეშვეობით ცოდნის გაზიარება.

შეფასების ანგარიშებიდან მიღებული მნიშვნელოვანი ინფორმაციით, და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის „ხარისხი & უფლებების“ მონიტორინგის ინსტრუმენტის მეშვეობით, ეს პროექტი ხარისხის და უფლებრივი მდგომარეობის მხოლოდ ობიექტურ შეფასებას სცდება და მომდევნო ეტაპზე, დაწესებულებების მიერ მიწოდებული მომსახურების გაუმჯობესებაზე გადადის.

„ხარისხი & უფლებების“ პროგრამის სხვა ინიციატივები

„ხარისხი & უფლებების“ ინიციატივის ფარგლებში, ჯანმომ შემუშავა სატრენინგო მოდულების მრავალმხრივი პაკეტი. ეს მოდულები გამოიყენება ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტთა და სხვა ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირთა შესაძლებლობების გაზრდისთვის. პაკეტიⁱⁱⁱ მოიცავს როგორც საბაზისო მოდულებს, მაგ., ადამიანის უფლებების ხელშეწყობა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, ასევე მოწინავე მოდულებს, მაგ., აღდგენის ხელშეწყობა. ამავე პაკეტში დაინტერესებული პირები ნახავენ სერვისების გაუმჯობესების ინსტრუმენტებს, როგორიცაა „ხარისხი & უფლებების“ შეფასების ინსტრუმენტი და სხვა საჭირო ინფორმაციას.

მომდევნო ნაბიჯებია:

- ჯანმოს „ხარისხი & უფლებების“ შეფასების ორგანოს შექმნა, როგორც სტაციონარულ, ასევე ჰოსპიტალ-გარე, და მათ შორის, სათემო ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებების მონიტორინგის მიზნით
- სათანადო მომზადება დაწესებულებების შესაფასებლად (ნათარგმნი და ადაპტირებული დოკუმენტაცია, ექსპერტების მომზადება, საკვლევი დაწესებულებების მისაწვდომობისთვის ნებართვის მოპოვება და ა.შ.)
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის „ხარისხი & უფლებების“ განმავითარებელი ტრენინგების ჩატარება ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის თანამშრომლებთან და პირადი გამოცდილების მქონე პირებთან ადამიანის უფლებების, აღდგენისა და დამოუკიდებლად ცხოვრების თემებზე (WHO-ჟენევასთან კონსულტაციით)
- „ხარისხი & უფლებების“ მონიტორინგის განხორციელება საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის რეფორმის ხარვეზებისა და გამოწვევების დასადგენად და ეროვნული მასშტაბის საბაზისო შეფასების ანგარიშის შემუშავება
- „ხარისხი & უფლებების“ მონიტორინგის ინსტრუმენტის პილოტირების შემდეგ ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებების რეგულარული კვლევა შესაბამისი პრაქტიკების გაუმჯობესების დინამიკის ხელშესაწყობად
- დეტალური რეკომენდაციების შემუშავება როგორც სერვისების მენეჯმენტისა და პერსონალისთვის, ასევე, ეროვნული ხელისუფლებისთვის.

გადაუდებელი ნაბიჯები საქართველოსთვის

საქართველოში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის „ხარისხი & უფლებების“ ინსტრუმენტის ჩამოტანა და დანერგვა მომსახურების გაწევაზე მუდმივი მეთვალყურეობისა და ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტების დაცვის აუცილებელი წინაპირობაა.

ბიბლიოგრაფია

WHO.2018a. WHO QualityRights initiative – improving quality, promoting human rights. Retrieved on November 1, 2018 from: https://www.who.int/mental_health/policy/quality_rights/en/

WHO. 2018 b. *Mental health, human rights and standards of care. Assessment of the quality of institutional care for adults with psychosocial and intellectual disabilities in the WHO European Region.* World Health Organization – Regional Office for Europe. WHO-Copenhagen

შენიშვნები

ⁱ Health 2020: A European policy framework and strategy for the 21st century. <http://www.euro.who.int/en/publications/abstracts/health-2020-a-european-policy-framework-and-strategy-for-the-21st-century-2013>

ⁱⁱ WHO Mental Health Action Plan 2013-2020. https://www.who.int/mental_health/publications/action_plan/en/

ⁱⁱⁱ https://www.who.int/mental_health/policy/quality_rights/guidance_training_tools/en/

ავტორი

ნინო მახაშვილი

პოლიტიკის ნარკვევი მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში: „MH²R - ფსიქიკური აშლილობების და ფსიქო-სოციალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მხარდაჭერა საქართველოში“, რომელსაც ახორციელებს ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ პარტნიორებთან ერთად: ალიანსი უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, დემოკრატიის ინსტიტუტი, და ჰელსინკის ადამიანის უფლებათა ფონდი (ვარშავა).

პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ფონდი „გიფ - თბილისი“ და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.